„დროება“

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

[illegible] ბრანსტეტერზე თ. ივ. ჟურნალისტის ხახლებ[illegible] ქვემოთ.

ხელის-მოწერა

[illegible] „დროებაში“ რედაქციაში, ქუ[illegible] ქალაქის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე [illegible] ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак[illegible] „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

[illegible] წლიზა. . . 9 ფან. | ხუთის თვიზა . . . 3 ფან.
[illegible] თვიზა. . . 5 ფან. | ერთის თვიზა . . . 1 ფან.

ფასი განცხადებისა

[illegible] ხაზზე 1 კაპ., [illegible] ხაზზე ნახევარი კაპ., ნეშეულებრივ [illegible] ზე 8 კაპ.

თუ ხაჭიროება [illegible], რედაქცია [illegible] და შეამოკლებს [illegible] ნაბეჭდად [illegible] ნაბეჭდ[illegible] [illegible] [illegible] [

ახლა, რომ ეს ტყუილია, 1 ივლისამდინ ხიდების გათავებას ვერ მოასწრებენო და ამის გამო გზის გახსნას ამ დროისათვის არ უნდა მოველოდეთო.

* * *

ერთს ახირებულს ამბავს გვწერენ ჭუთაისიდამ: ამბობენ, ვითომც თავადაზნაურთა უკანასკნელ ყრილობის დროს „ბოლალატედ“ სახელწოდებულ თ. ალმ. ნიჟარაძის ქალებს, კ-ნა ს. წ—ისას და კ-ნა ნ. ე—სას ნოტარიუსის წესით უარი უთქვამთ თავის მამის მემკვიდრეობაზედ.

კათოლიკის სკოლებზედ

„დროებაში“ წავიკითხეთ სტატია ტფილისის კათოლიკების სკოლის მდგომარეობაზედ. ძრიელ გვიამა. როგორცა ჰგავს, სკოლებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიუქცევიათ, როგორც ზედამხედველს, აგრეთვე მრევლსაც.

დღევანდელ დღემდე კათოლიკის სკოლები დაფუძნებული იყვნენ სხვა საფუძველზედ და სხვა მიმართულებაზედ. არც მათი საფუძველი, არც მათი მიმართულება არ ეთანახმებოდა დროების მოთხოვნილებას. პირველი ადგილი ამ სკოლებში ლოცვებს და საქრისტიანო მოძღვარობას ეჭირა; არა თუ პირველი ადგილი, სასწავლო საგნებიც თითქის მეტი არა ყოფილა-რა. შესწავლაც ამ საგნებისა იმ გვარ წესით იყო, როგორც ისტორია წარმოგვიდგენს საშუალ საუკუნოებში: დაზეპირება სიტყვა-სიტყვით და აზრის გაუგებლობა. ამას მოყვებოდა გრძელი და მოსაბეზრებელი წრთვნა მასწავლებლისაგან. უმაწვილების გონება იყო უძრავი, მხოლოდ მეხსიერება იყო ძალ-დატანებით ვარჯიშობაში.

ყველამ კარგად ვიცით, რა შედეგი აქვს ამ გვარ სისტემას სწავლებისას. სხვათა შორის აქედამ წარმოსდგა ის სამწუხარო მოელინება კათოლიკეებში, რომ იმათი ყმაწვილები, რომელნიც იზრდებოდნენ გიმნაზიებში, ვერ ასრულებდნენ სწავლას; უმეტესმა მათგანმა დაბალ კლასებშიევ მიატოვეს სწავლა. ჭუთაისის გიმნაზია შეასრულა მხოლოდ ათიოდე კათოლიკემ.

ჭუთაისის კათოლიკე სკოლების დაარსება თითქმის იმ დროს მოხდა, როდესაც დაარსდა ტფილისის სკოლა. დასაწყისი აქვს მეჩვიდმეტე საუკუნეში. პირველ დაწყებიდგან სკოლები არ იყვნენ ორივე სქესისათვის. კათოლიკე პატრები ასწავლიდნენ მხოლოდ ვაჟებს; ქალების გაზდა მინდობილი ჰქონდათ მოხუცებულ ქალებს, რომელნიც თვეში ერთ აბაზათ და საოსტატოთ (როცა ქალი გათხოვდებოდა, ქმარი ვალდებული იყო აღმზრდელისათვის მიეცა საჩუქარი ან ფული, ან ნივთი. ამ საჩუქარს „საოსტატოს“ ეძახიან. საოსტატო განსაზღვრილი არ იყო; დამოკიდებული იყო ქალ-ვაჟის მდგომარეობაზედ) ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, ლოცვებს, საქრისტიანო მოძღვარებას და ხელ-საქმობას. ამ მანდილოსნების სკოლებში უფრო კარგად მიდიოდა საქმე, ვინემ სამრევლო სკოლებში. აქ არ იყო არც ძალ-დატანება, არც ცემა-ტყეპა (ხუნდი და ფალახა, ორი ინკვიზიციური იარაღი) და არც სხოლასტიკიკური წრთვნა. თუმცა ამ ქალების სკოლებში გონება რჩებოდა უსაზრდოთ, მაგრამ ხელ-საქმობის სწავლება მაინც უნაყოფოდ არ რჩებოდა ყმაწვილ ქალებისათვის.

სამრევლო საქალებო სკოლა ჭუთაისში დაარსდა ჭუთაისის კათოლიკე ეკლესიის მიცვალებულ წინამძღვარის დონ-ანტონის დროს. ტფილისში კი ეხლა დაარსებულა.

ჭუთაისის ახლანდელი საეაჟო და საქალო სკოლები თითქის დაფუძნებულია ამ დროების მოთხოვნილებაზედ. საღმვთო წერილის და საქრისტიანო მოძღვარების გარდა ასწავლიან იმ საგნებს, რომელნიც შეადგენენ პირველი-დაწყებით სწავლას საზოგადოდ ყველა სკოლებში. ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, მოკლე საზოგადო და საეკკლესიო ისტორია, საზოგადო გეოგრაფია და ხელ-საქმე შეადგენენ სკოლის საგნებს. საეაჟო სკოლა ყოველ წლივ ამზადებს ყმაწვილებს საშუალო სასწავლებლებისათვის.

საქალო სკოლაში საქმე უფრო კარგად მიდის, რადგანაც საშუალობა მეტი აქვს. ამ სკოლისათვის შედგენილია ქალებისაგან ქველ-მომქმედი საზოგადოება. წევრნი ამ საზოგადოებისა იხდიან სკოლის სასარგებლოდ წელიწადში თუთხმეტ მანეთს. ჩვენ არ ვიცით რიცხვი საზოგადოების წევრებისა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი უნდა იყვნენ, რადგან სასწავლებელს შეუძლია იყოლიოს კარგად მოამზადებულნი ერთი ზედამხედველი და სამი მასწავლებელი ქალები.

სრულებით სხვა სურათს წარმოგვიდგენს აქაური საეაჟო სკოლა. იმას არა აქვს არავითარი საშუალება; მხოლოდ რამოდენიმე მშობლები იხდიან თავიანთი შვილების სწავლისათვის წელიწადში 15 მანეთს. ღარიბების შვილებს-კი არავითარი გადასახადი არ აძევთ და არც ეკუთვნით.

მრევლი გულ-გრილათ არის საეაჟო სკოლაზედ. არც კერძო შემწეობა და არც ქველ-მომქმედი საზოგადოება ამ სკოლისათვის არ არსებობს.

— რათ შევეწევით, საცა ჩვენი შვილი არ იზრდებაო! ხშირად გაიგონებთ იმ ბატონებისაგან, რომელთაც ამ სკოლაში არ ზრდიან თავიანთ შვილებს. ეს ეამისთ, ვერ გაუგიათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ყოველი ყმაწვილი არა-მხოლოდ მშობლების შვილია, არამედ საზოგადოებისაც, რომ მათი კეთილ-დღეობა საზოგადოების კეთილ-დღეობა არის.

საეაჟო სკოლაში მხოლოდ ერთი მასწავლებელია, თუმცა მიუცილებელად საჭიროა ორი მაინც იყვეს.

საჭიროა ამ სკოლის პროგრამის და წესების შეცვლაც. მაგრამ დღეს მხოლოდ საშუალობის მოპოვებაა საჭირო, რადგან სხვათა შორის, საშუალობაზედ არის დაფუძნებული ყოველი სკოლის საქმის წარმატება. ჩვენი თავად-აზნაურების სკოლების წარმატება უფრო იმითი აიხსნება, რომ თითო-კლასიან პირველ-დაწყებით სკოლებზედ წელიწადში იხარჯება თექვსმეტ ათას მანეთამდინ.

იჰედი გვაქვს, ამ საგანს ყურადღებას მიაქცევენ ის კათოლიკები, რომელნიც თვისი მდგომარეობით და შეძლებითაც შეუძლიანთ ამ საქმის თაოსნობა. ზნეობითაც ვალდებულნი არიან დაეხმარონ ამოდენა ღარიბ ყმაწვილებს. რა კეთილი უნდა მოუტანოს ჩვენ საზოგადოებას ღარიბის შვილებმა, თუ მათ არ მიიღეს რამე სწავლა, ცხოვრებაში გამოსაყენებელი? თუ კი ევროპაში კათოლიკები არ ზოვავენ არავითარ საშუალობას ღარიბების აღსაზრდელათ, ჩვენ, ქართველი კათოლიკეები, რად უნდა ჩამოვრჩეთ ჩვენ თანა-მოძმეთა, როცა საშუალებაც ნებას გვაძლევს და გარემოებაც, რომ ვიქონიოთ კარგად გამართული სკოლები!

ბ. ბკოფოვი.

ქ. ჭუთაისი, 22 ივნისს.

წერილები რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო!

მე-119 ნომერში თქვენი პატიცემულ გაზეთის „დროებისა“ მე წავიკითხე, სხვათა შორის, ოზურგეთიდამ კორრესპონდენცია, რომელშიაც მოყვანილია უმართლო ცნობა, რომ ვითომც მის ყოვლად-უსამღვდელოესობას ბურიის ეპისკოპოზს ალექსანდრეს მოსელისა-თანავე ბურიაში დაეარსებინოს საქალებო საეპარქიო სკოლა, რომლისათვის კ-დეევაც აღეთქვა თავის მხრით ყოველ წლიური შეწირვა ხუთასი მანეთისა.

რადგან ეს ცნობა და ზოგიერთი სხვებიც, მოყვანილნი ამ კორრესპონდენციაში, არის უმართლო ცნობა და რადგან ამ გვარ უსაფუძვლო ცნობების გავრცელება ბეჭედის საშუალებით არ მოუტანს გურიაში სკოლის დაარსების საქმეს არავითარს სარგებლობას, არამედ დიდ ვნებასაც, ამისთვის მე, ზედ-მოწევნით მცოდნე გარემოებისა, საჭიროდ ვრაცხ ალვადგინო ჭეშმარიტება.

ამ უკანასკნელ რვა წლის განმავლობაში მთელი ოზურგეთის საზოგადოება და თვით სოფლის თავადაზნაურობაც ბეტის-მეტ გულ-მოდგინეთ ზრუნავდა, რომ აღმოეჩინა ჯეროვანი საშუალება დასაარსებლად ქ. ოზურგეთში რიგიანის საქალებო სკოლისა. ამ მიზნის მისაღწევნელად საზოგადოებამ დანიშნა კომიტეტი გენერალ-ლეიტენანტის თ. ლევან ბურიელის მეუღლის თავმჯდომარეობით.

აქვე დროს იქმნა შეკრებილ ოზურგეთის მცხოვრებლებისაგან სკოლის დაარსებისათვის საჭირო ფული ათას შვიდასი მანეთი. ... ...

საჭირო ფული ათასი მანათი მზათ ქონდა საზოგადოებას. ყოველად სამეფოსომ აღუთქვა თავის მხრით თანხა ხარჯით დაქირავება ამ სასწავლებლის თვის სახლისა. ქიდევაც დაწერა განცხადება მის ყოველად-უსამეფოოერობისაგან საზოგადოებისადმი, რათა ყველა მშობლებს მიეყვანათ თავიანთი ქალები სასწავლებელში ნაშინულ დღეს და მას ჰსურდა პატარძლისის გარდახდის შემდეგ გაისხნა სწავლებელი.

(დასასრული შემდეგში)

ბ. რედაქტორო! „დროების“ №122 ში დაბეჭდილი სტატია ბელაგორის სტანციაში მომხდარ ჩხუბის თაობაზე, როგორც ერთი მოსამსახურეთაგანი ზემო-აღნიშნულს სტანციაზე და ადგილად მცოდნე მომხდარის ჩხუბისა, ვალად ვრაცხ გაცნობოთ ნამდვილი გარემოება მომხდარის ჩხუბისა.

ეს საქმე რასში გახლდათ:

11 მაისს, ნაშუადღეების მესამე საათის შემდეგ, მობრძანდა ბელაგორის სტანციაში ბ. ე. ქიკნაძე, რომელსაც თან მოჰყვა რამოდენიმე თავის სახლიკაცები და მეგობრები. ესენი მობრძანდენ ქორწინებიდგან დამშასადამეს დამეთანხმებით, რომ მრავალი ათგანი იყო აქაური გამოჩენილი „ოლიკაურის“ თეთრი ღვინით შეზლობებული...

მოვიდნენ თუ არა სტანციაში, მათ ეჭვნეს ყვირილი და უმართებულაც ეჭირათ თავი განსაკუთრებით ბილეთების აღების დროს; მაგრამ ათთვის არამც თუ წინააღმდეგი სიტყვა, არამედ უბრალო შენიშვნაც თავის უკადრებია. როდესაც გათავდა ბილეთების გასყიდვა, სტანციის მოდამხედველი გავიდა თავის კანტორიდგან გარეთ და გაჩერდა იქვე კანტორის კარებთან; ამ დროს ბ. ე. ქიკნაძემ აიღო სტაქანი, ბოთლი წყლით და სტაქნიდამ ნაწური წყალი შეაქცია სტანციის უმფროსს. ცხადია, რომ მას ეს განზრახვით არ უქნია, რადგან ისინი ერთმანეთს ვერაკი ეცნობდნენ; მაგრამ საქმე იქიდგან გარმოსდგა, რომ ბ. ქიკნაძეს ბოდიში არ მოუთხოვია, თუმცა ზემოხსენებული კორრესპონდენტი ამტკიცებს, რომ ქიკნაძე ორჯერ მოითხოვა ბოდიშიო, ეს ტყუილია.

როდესაც ქიკნაძემ წყალი შეასხა სტანციის უმფროსს, რუსულად; „როდესაც წყალს ასხამთ, უნდა შეხედოთ ვათკენ და ვის ასხამთ!“ მან უთხრა.

ამ სიტყვებზე ქიკნაძე მივარდა სტანციის უმფროსს, რომელიც კანტორაში უკვე შემოსული იყო, და უნდოდა გრაფინკა თავში დაეკრა. ამ დროს ქ ეიყვენი: მე, ჟანდარმი, თანაშემწე სტანციის უმფროსისა და სხვანიც..,

ჟანდარმს უნდოდა გაეყვანა ქიკნაძე კანტორიდგან უწესოების მოხდენისათვის; მაგრამ ის გაძალდა და ჟანდარსაც უთავაზა.... ამ დროს მე მივედი და ვთხოვე ძმობით, რომ დამშვიდებულიყო და გამომყოლოდა გარეთ. ჩემს თხოვნას დასდო პატივი და მართლაც გამომყვა გარეთ; მაგრამ ახლა იმის მეგობრებსა და ჟანდარმს შეექნა ჩხუბი.

ამ დროს მატარებელმაც მოატანა, გამშველებლებიც გაჩნდენ და კიდეც გააშველეს.

გ. ტუმანოვი.

სტ. ბელაგორი.

ქართული ისტორია

X

ვიზანტიის პოლიტიკის ხასიათი.— სომხეთის დანაწილება მეოთხე საუკუნესს ვიზანტიელთა და სპარსთაგან.—სომხური ლიტერატურა.

ყველამ ვიცით, რა სასტიკი ბრძოლა აუტეხა კერპთ-მსახურებამ ახალდანერგილს ქრისტეს სარწმუნოებას. მართალია, ამ უკანასკნელმა სძლია და დაამხო ისა, მაგრამ ამითი იმას განსაცდელი მაინც არ ასცილებია. ჩვენის აზრით, კერპთ-მსახურებაზე უფრო საშიშნი იყვნენ იმისთვის ჯერ ცეცხლის-თაყვანის მცემელთ აღსარება, რომელიც თითქმის ერთსა და იმავე დროს გაძრიელდა, და შემდეგ იმისა მაჰმადის სჯული. პოლიტიკური მიმართულება ცეცხლის-მსახურთა და ქრისტეს მორწმუნეთა მე-IV საუკუნიდამ ხელში ეჭირა ორს უმთავრეს სახელმწიფოს ვიზანტიას და სპარსეთს. იმათში ვიზანტია იყო წარმომადგენელი ქრისტიანობისა, სპარსეთი სასანიდების დროს ცეცხლის მსახურებისა. წარმატება ერთისა თუ მეორისა იმაზე იყო დამოკიდებული თუ რომელი ამ ორთა სახელმწიფოთაგანი მომეტებულს ხერხს აღმოიჩენდა ურთიერთის ბრძოლის ასპარეზზე.

ვიზანტიის იმპერია დააფუძნა ქოსტანტინე დიდმა, რომელმაც 329 წელს დაამყარა შავ-ზღვაზე თავისი რეზიდენცია ქოსტანტინეპოლი ანუ „ახალი რომი“ იმ განზრახვით, რომ უახლოესად ყოფილიყო ქრისტეს სჯულის მოწინააღმდეგე სასანიდებთან, რომ აქედამ იმას გულსმოდგინებით თვალ-ყური ედევნა იმათი პოლიტიკის მიმართულებისა და მოძრაობისათვის. ასპარეზად ამ ორის პოლიტიკისა იყო მე-IV, V და VI საუკ. განმავლობაში მცირე აზია, სომხეთი და საქართველო. საუბედუროდ, ქოსტანტინეს მემკვიდრებმა ვერ შეითვისეს ღირსეულად იმისი აზრი და ვერ მისცეს იმის იმპერიას ის ძალა, რომელიც საჭირო იყო ქრისტიანობის დასაცველად. ჩვენ რომ ვიზანტიის პოლიტიკური წყობილება სპარსეთის წყობილებას შეუთანასწოროთ, მაშინ, უეჭველია, უპირატესობას ამ უკანასკნელს მივცემთ. თუმცა ვიზანტია სწავლა—ხელოვნებით დიად მაღლა იდგა სპარსეთზე, მაგრამ იმისი ეთნოგრაფიული ნიადაგი შეიცავდა სხვადა-სხვა გაცალკევებულ ტომთა, რომელთა შორის ერთად ერთი კავშირი იყო ქრისტეს სჯული და არა ერთგვარი შთამომავლობა, ეს უმთავრესი ძალა ყველა სამეფოსი. ზარდა ამისა, სხვა გარემოებაების ასუსტებდა ვიზანტიას: იქ სამეფო დინასტიის ცვლილება არ იყო იშვიათი, იქ ტახტს ისაკუთრებდა ხან ერთი ხან მეორე სხვადა-სხვა ტომის შთამომავალი გვარი. აჰ გარემოებამ დაბადა ხშირი ბრძოლა ტახტის მეძიებელთა შორის და არეულობა თვით იმპერიაში. ამას დაერთო სარწმუნოებრივი მწვალებლობა—არიოსისა, მაკედონისა და სხვათა მრავალთა, რომელნიც თავის მხრით აღელვებდნენ ხალხს და არ-ყევდნენ შინაგან წყობილებას. აქ უმთავრესი საგანი ყურადღებისა იყო იმპერატორებისა და საზოგადოების მხრივ საღვთის მეტყველო და საეკკლესიო მსჯელობა, სამღვდელო დასთა კრებაები, დევნულობა ქრისტიანეთა ერესებისა და არა პოლიტიკური მოაზრება და ღონის ძიების გამოძიება ბარბაროსებთ წინააღმდეგ, რომელნიც ყოველის მხრით ემუქრებოდნენ და სწვწდნენ იმპერიას. სულ სხვა გვარ სურათს წარმოგვიდგენს ვიზანტიის მოწინააღმდეგე სახელმწიფო: ამ სახელმწიფოს შეადგენდა თითქმის ერთი და იგივე მჭიდროდ მოფენილი ტომი სპარსნი, ერთგულნი და მიმყოლნი სასანიდების დინასტიისა. სასანიდების სამეფო სახლი არ შერყეულა და არ დაცემულა, სანამ ის არ დაამხვეს მე-VII საუკ. მუსულმანებმა. სასანიდებმა არა თუ შეიკავშირეს სპარსები, ყოველი ღონის ძიებაც მოიხმარეს, რომ იმათ უცხო-ტომნი შეეთვისებინათ. სასანიდებმა ისიც მოახერხეს, რომ საკუთარის გავლენის გასაერცელებლად თავისი სახლის წევრებივე დასვეს მეფედ როგორც საქართველოში, აგრეთვე სომხეთში. ერთმა სასანიდთაგანმა, როდესაც შემთხვევა მოიპოვა, ვიზანტიის იმპერატორი დაიყოლია 387 წელს იმისთანა უგუნურს მოქმედებაზე, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა როგორც ქრისტიანობის სარგებლობას, აგრეთვე თვით ვიზანტიის ინტერესს. ეს მოქმედება იყო სომხეთის სამეფოს დაგლეჯა სამუდამოდ ორ ნაწილად.

ამ ისტორიულ შემთხვევას დიდი შედეგი ჰქონდა როგორც სომხეთისთვის, აგრეთვე საქართველოსთვის, ამისთვის საჭიროა ჩვენ მკითხველს გარკვევით უამბოთ იმისი გარემოება. როგორც ვიცით, ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებამ სომხეთში და საქართველოში ორივე ეს ქვეყანა დაახლოვა და დაუკავშირა საბერძნეთს და ამასთანავე საშიშარ მტრად აღმოუჩინა იმათ სპარსეთი. სპარსეთი და ვიზანტია შეუდგნენ ერთი ერთმანეთის ცილებას სომხეთისა და საქართველოს გამო. ეს ცილება იწყობა სომხეთით. ამ საგანზე ბერძნებისა და სომხების მწერლებმა გადმოგვცეს შემდეგი ფაკტები.

როდესაც ქრისტიანობის შემომტანი სომხეთში ტირდატ II მოკვდა, სომხეთი აირია: სომხეთის თავადნი, მეტადრე რომელნიც ძველ სარწმუნოებაში დარჩნენ, გადგებიან და თავის მეფესთან დამოკიდებულებას უცხადებენ. ორნი იმათგანნი—სანადრუგ არშაკუნი და ჩრდილო მხარეს და ბაკურ არწრუნი სამხრეთს მხარეში მეფეებად აღიარებენ თავის თავს და სპარსთა შემწეობით აოხრებენ სხვადა-სხვა ნაწილს სომხეთისას. წმ. გრიგოლის შვილის ვარდანეზ კათალიკოზის და სხვათა სამღვდელო და საერო პირთ შუამდგომლობით ქოსტანტინეპოლის იმპერატორი თავის მხრით ჯარს მიაშველებს ტირდატის მემკვიდრეს ხოსრო II, რომელიც თავის სპასპეტის ვაჩე მამიკონის მოღვაწეობით სანადრუგს განდევნის სპარსეთში, ბაკურს მოჰკლავს, აღელვებულს სომხეთს დაამშვიდებს და მამის ტახტზე დაჯდება. შემდეგ ხოსროს სიკვდილისა კათალიკოზი ვარდანეზი სომხეთის გამეფებას მიანდობს არშავირ ქამსარაკანს, რომელიც იყო სპარსეთის არშაკიდების ტომ-ნათესავი და თვითონ ხოსოს მემკვიდრეს დირანს ქოსტანტინეპოლში წაიყვანს, რომ იმპერატორს მისთვის მამის ტახტი გამოსთხოვოს. ამ დროს სპარსეთის მეფე შაბურ II, რომელსაც ჰსურს სომხეთის მეფედ თავისი ძმა დაგვირგვინოს, ამ უკანასკნელს თავის მხედრობით სომხეთში შეჰგზავნის, მიგრამ აქ იმას შეებმის არშავირი, სძლევს და განდევნის უკანვე. დირანი უკანვე დაბრუნდება ქოსტანტინეპოლიდამ და დაუბრუკლებლივ თავის სამკვიდრო სამეფოს დაიკავებს. მაგრამ 16 წლის უფლობის შემდეგ შაბური იმას მუხთლობით დაატყვევებს და დააბრმავებს. ამ შემთხვევის გამო იმპერატორი სომხეთში გაჰგზავნის თავის ჯარს, რომელიც არშავირის თანა-ზიარით შაბურს დაამარცხებს. შემდეგ შაბური დირანს თავისუფლად გაისტუმრებს სომხეთში და იმის შვილს არშაგ III, 338 წელს მეფედ აღიარებს. იმპერატორიც დასთანხმდება.

თავ და პირველად არშაგი ერთგულად მსახურებს შაბურს და ჯველს შემთხვევაში. ბერძნების წინააღმდეგ შემწეობას აძლევს. იმპერატორი იმის დასაჰჯელად ჯარსა ჰგზავნის. შეშინებული არშაგი კათალიკოზის ნერსეს I შუამავლობით იმას შენდობას მოსთხოვს და ხარკს აღუთქვამს. არშაგი შეირთავს იმპერატორის ქოსტანციის ნათესავს ოლიმპიას და შაბურს გაუდგება. შაბური დიდ ძალას შემოჰკრებს, სომხეთზე გაემხედრება და ქალაქს ტიგრანაგერტს ანუ ამიდს დაიჭერს. ამასთანავე სომხეთის თავადნი, გულ-მოსულნი არშაგის მტარვალობით აეშლებიან იმას და არშაგი დევნული მიჰმართავს საქართველოს; თან ახლავს ერთად-ერთი ერთგული სპასპეტი ვასაგ მამიკონი. უკან დაბრუნდება ქართველების მხედრობით და აშლილ თავადებს დაამარცხებს; კათალიკოზი ნერსესიც თავის მეცადინეობით დაუმშვიდებს და დაუახლოებს იმათ, გარდა მერუჟან არწრუნისა და ვაჰან მამიკონისა, რომელნიც ქრისტეს სარწმუნოებას უარჰყოფენ და განიელტვიან სპარსეთში

შაბურთან. დამკვიდრება თუ არა ტახტზე არშაგი უმუხთლებს თავადებს, დაეცემა იმათ და ააოხრებს; ქამსარაკანის სახლს თითქმის სრულებით ამოსწყვეტს და მხოლოდ მცირედი იმისნი წევრნი გადარჩებიან და ბერძნებს მიჰმართვენ. თავადნი ხელახლა აღიჭურვიან და შემწეობას მოსთხოვენ სპარსეთის მეფეს, რომელიც ამ შემთხვევით ისარგებლებს და სომხეთში შევა. არშაგის სპასეტი ვასაგ მამიკონი დამარცხება. არშაგი გაემგზავრება შენდობის მოსათხოვად შაბურთან, რომელიც დაიჭერს და დაატუსაღებს როგორც არშაკს, აგრეთვე ვასაგს.

დიმ. ბაქრაძე

(გაგრძელება)

თფილისის სამკურნალო

ავთმოფოები მიიღებსან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალეკეზი და ლისიცეკი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირურგიული ავთმოფობისა; ლისიცკი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცკი და მირიმანოვი შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავთმოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცკი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავთმოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავთმოფობისა; ლისიცკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავთმოფობისა.

შაბათს. ლისიცკი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავთმოფობისა.

განცხადებანი

ქართველი **სტუდენტი**

ეძებს გაკვეთილებს.

ადრესი — შაევრდოვის აგენსტვოში.

მაღაზია

სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მას ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ.

(12—5)

ახალი ქართული

კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

(3—3)

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლირეოვან ოთახებს, სახელად

„ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ.

(20—11)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** ბარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—93)

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

იყიდება ტფილისში: შაევრდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. ქერესელიძესთან.

ტფილისის

კანტორა

რუსეთის მზღვეველ და ბარგის მზიდავ საზოგადოებისა (**страхованія и транспортированія**) გადავიდა სასახლის ქუჩაზე, **დ ზ. სარაჯოვის** სახლებში. (2—2)

მერვე კლასსის გიმნაზიელი

აძლევს გაკვეთილებს

ადრესი „დროების“ რედაქციაშია.

(6—6)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

ი ბ ა ვ - ა რ ა კ ნ ი

ქრილოვისაგან და **სიბრძნე-სიცრუედგან** გალექსილი **თ. რ. ერისთვისა.**

დაიბეჭდა და ისყიდება,

ქუდუბ

ყარაბნის ‘ეპილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ **ბარგელის ნაწილიდამ** ვიდრე უკანასკნელ **ნაწილამდინ** მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ **ნიკ. ქობალაძესთან.**

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ) და ბ-ნი **ივანნის** სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) **ისყიდება** წერა-კითხვის საზოგადოებიგამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

ბ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ფაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ISYIDEBA

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლადგამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი.

ბოლგარულ-ინგლისური ბუთანი ნვარდისა მსურველთ შეუძლიანთ **იწერონ თ. ა. პეპინოვისაგან,** **მელიტ** არის აგენტი ბ. **გოკარდისა.**

კანტორა ბეპინოვისა არის **ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, დ. ტოვის ქუჩაში.** (6—6)

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელ. იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ; ნებში და დატარებათ 16 ივნისა. 1 ივლისამდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილ.

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5
მეორის „	—1 გირ.	3
მესამის „	—1 გირ.	—

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარ.

პირველის ხარისხის	—1 გირ.	1
მეორის „	—1 გირ.	4

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1 გირ.	6
მეორის „ „	—1 გირ.	5
მესამის „ „	—1 გირ.	5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	10
მეორის „	—1 გირ.	8
სუკი — —	—1 გირ.	15
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	—

ფ ა ბ რ ი კ ა

ძმათა ბუხთა ვარშავაში

Братья Бухъ въ Варшавѣ

ფურცლებისა, მავთულებისა და **სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.**

ახალი ვერცხლისა (**მელქიორისა, ალფენიდისა**) **მივაქცევ** თქვენს **ყურადღებას ფურცლებზე, მავთულებზე** და **სუფრის** **მოწყობილობაზე** (**ბორბოლზე**): **კოზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის** და **ჩაის** **დესერტის** **ხონჩებზე** (**ბლუდებზე**), **სამოვრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, სტაქნის** **დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე** და **სხვა შინაურს** **და საეკლესიო საგნებზე:** **კანკელებზე** **ბარძიმ-ფეშხუმზე, საცეცხლურზე, შანდლებზე,** **და** **სხვათა** **საეკლესიო** **ნივთებზედ.**

ბარდა **ამიებისა** **არის** **კიდევ** **სხვა** **სახლის** **მშვენიერი** **მოწყობილებანი:** **ლიუსტრები, ხილის** **და** **შამფანსკისათვის** **ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, სურები, ბაკალები, სანიცრეები** **და** **სხვ.**

მს **ფირმა** **არსებობს** **1809** **წლიდამ** **და** **განთქმულია** **თავის** **მჭიდრო** **და** **რიგიანის** **ხელოვნებით.** **მსურველთ** **შეუძლიანთ** **მიმართონ** **შემდეგ** **განყოფილებებში:**

1) **პეტერბურგში,** **ნევის** **ქუჩაზედ** **№ 26** **ყაზანის** **სობორის** **პირ-და-პირ,**

2) **მოსკოვში,** **ნიკოლსკის** **ქუჩაზე,** **შერემეტიევის** **სახლებში,**

3) **მოსკოვის** **გამოფენაზე** **მე-VI** **განყოფილებაში,**

4) **ნიჟნი** **ნოვგოროდის** **ოკრომჭედლების** **რიგში,** **№ 30.**

პრეის-კურანტი **და** **ფურცლების** **ნიმუშები** **მუქთათ** **მსურველთ** **გაეგზავნებათ.**

ფაბრიკა **ეძებს** **აგენტებს** **რეკომენდაციით.** (12—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Іюня 1882 г. *Типографія Меликова* **ბამომცემელი ს. მელიქიშვილი.** **რედაქტორი ს. მელ.**